სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/46

ქ. თბილისი 23 აპრილი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 23 აპრილის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი (დანართი).
2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესის დამტკიცებისა და ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების მომსახურების საფასურის ოდენობების განსაზღვრის თაობაზე შესაბამისი დადგენილების ძალაში შესვლისთანავე

ძალადაკარგულად გამოცხადდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/152 დადგენილება.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**